ჩატარდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის სხდომა

2021 წლის 17 აგვისტოს კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი უნეტარესი ონოფრეს ინტრონიზაციის მეშვიდე წლისთავზე საღვთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ, კიევ-პეჩერის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ლავრაში, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის მორიგი სხდომა ჩატარდა.

სხდომას უძღვებოდა მიტროპოლიტი ონოფრე. სინოდის მუდმივი წევრები არიან: ოდესისა და იზმაილის მიტროპოლიტი აგათანგელოზი, სიმფეროპოლისა და ყირიმის მიტროპოლიტი ლაზარე, ჰუსტისა და ვინოგრადოვის მიტროპოლიტი მარკოზი, დონეცკისა და მარიუპოლოს მიტროპოლიტი ილარიონი,

კამენეც-პოდოლსკისა და გოროდოკის მიტროპოლიტი თეოდორე, ვიშგოროდისა და ჩერნობილის მიტროპოლიტი პავლე, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის მდივანი, უმე-ს საქმეთა მმართველი ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტი ანტონი. სინოდის დროებითი წევრები – ხმელნიცკისა და სტაროკონსტანტინოვის მიტროპოლიტი ანტონი, ვოზნესენსკისა და პერვომაისკის მთავარეპისკოპოსი ალექსი და შეპეტოვკისა და სლავუტას მთავარეპისკოპოსი ევსევი.

სინოდის სხდომაზე მიღებულ იქნა რიგი საკადრო გადაწყვეტილებები იმასთან დაკავშირებით, რომ 2021 წლის 18 ივნისს ღვთივგანისვენა ლუგანსკისა და ალჩევსკის მიტროპოლიტმა მიტროფანემ – უმე-ს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მუდმივმა წევრმა.

ლუგანსკის ეპარქიის ახალ მმართველად განისაზღვრა სვერდლოვსკისა და როვენკის მიტროპოლიტი პანტელეიმონი. როვენკის კათედრაზე დადგინდა ოვიდიოპოლსკის მთავარეპისკოპოსი არკადი, ოდესის ეპარქიის ვიკარიუსი.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარედ და წმინდა სინოდის მუდმივ წევრად დანიშნულ იქნა ჩერნოვცისა და ბუკოვინის მიტროპოლიტი მელეტი.

სინოდმა დაამტკიცა მონასტრების საქმეებთან დაკავშირებული კომისიის ახალი შემადგენლობა, ასევე ახალი წევრები შეიყვანა წმინდანთა კანონიზაციის კომისიაში.

ლოცვა-კურთხევა გაიცა ორი მამათა მონასტრის ჩამოყალიბებაზე: ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის რუდოსელსკოის ხატის სახელობის ბელაია-ცერკოვის რაიონში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის განდიდების (დაუჯდომლის შაბათის) სახელობის მუკაჩევსკის ეპარქიაში. დადგენილ იქნა ორი მონასტრის წინამძღვრების მოადგილეები – ოდესის ეპარქიის წმინდა პანტელეიმონის სახელობის მამათა მონასტრისა და ბორისპოლის ეპარქიის მაცხოვრის ფერისცვალების მამათა მონასტრის.

განიხილეს ეპარქიების მაღალყოვლადუსამღვდელოესთა ანგარიშები, სინოდმა ლოცვა-კურთხევა გასცა რიგი ღვთისმოსავი მოღვაწეების წმინდანთა დასში ადგილობრივ განდიდებაზე: ბორისპოლის ეპარქიის საზღვრებში – მღვდელმოწამე მიხეილი, ზიზიმელი მღვდელი (მისი ხსენების დღედ დადგინდა 27 ნოემბერი); როვენის ეპარქიის საზღვრებში – წმინდა იეროთეოსი, ოსტროგის ეპისკოპოსი (ხსენების დღე – 30 აპრილი); ბალტის ეპარქიის საზღვრებში – ღირსი ანტონ ბალტელი (ხსენების დღე – 22 აგვისტო); კიროვოგრადის ეპარქიის საზღვრებში – მღვდელმოწამეები ნიკოლოზ და პლატონ მღვდლები (მათი ხსენების დღე იქნება 15 ივნისი).

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ასევე გამოარჩია კიევო-პეჩერის ლავრის მკვიდრი არქიმანდრიტი აღათონი (ოპანასენკო) კოკტებელის ეპისკოპოსად, ფეოდოსიის ეპარქიის ვიკარიუსად.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური/

უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილების შეტყობინების მიხედვით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87886/